# საქართველოს პრეზიდენტის
# ბრძანებულება
## N 496 2006 წლის 18 აგვისტო ქ.თბილისი

# საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ფინანსური პოლიციის თანამშრომელთა სამსახურებრივი ფორმის სახისა და ატრიბუტიკის შესახებ

„ფინანსური პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-17 მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, დამტკიცდეს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ფინანსური პოლიციის თანამშრომელთა სამსახურებრივი ფორმის სახე და ატრიბუტიკა დანართის მიხედვით.

***მიხეილ სააკაშვილი***

დანართი

ფინანსთა სამინისტროს
ფინანსური პოლიციის
თანამშრომელთა
სამსახურებრივი
ფორმის სახე და ატრიბუტიკა

**პ ლ ა ნ შ ე ტ ი 1**

1. **ყოველდღიური საგაზაფხულო-საშემოდგომო ფორმა –** შავი ფერის შარვალი და შავი ფერის ქურთუკი, შავი ფერის კეპი, თეთრი პერანგი, შავი ჰალსტუხი, შავი ფერის ფეხსაცმელი; წოდების შესაბამისი ატრიბუტიკა და ფურნიტურა.
2. **ყოველდღიური საგაზაფხულო-საშემოდგომო ფორმა –** შავი ფერის შარვალი და შავი ფერის დათბუნებული სვიტერი, შავი ფერის კეპი, თეთრი პერანგი, შავი ჰალსტუხი, შავი ფერის ფეხსაცმელი; წოდების შესაბამისი ატრიბუტიკა და ფურნიტურა.
3. **ყოველდღიური საგაზაფხულო-საშემდგომო ფორმა –** შავი ფერის საწვიმარი ლაბადა. შავი ფერის შარვალი და შავი ფერის ქურთუკი, შავი ფერის კეპი, თეთრი პერანგი, შავი ჰალსტუხი, შავი ფერის ფეხსაცმელი; წოდების შესაბამისი ატრიბუტიკა და ფურნიტურა.




**პ ლ ა ნ შ ე ტ ი   2**

**1. ყოველდღიური საზაფხულო ფორმა –** შავი ფერის შარვალი, შავი ფერის კეპი, თეთრი პერანგი მოკლე სახელოთი, შავი ფერის ფეხსაცმელი; წოდების შესაბამისი ატრიბუტიკა და ფურნიტურა.

**2. ყოველდღიური საზაფხულო ფორმა –** შავი ფერის შარვალი, შავი ფერის წინაფრიანი ქუდი, თეთრი პერანგი გრძელი სახელოთი, შავი ჰალსტუხი, შავი ფერის ფეხსაცმელი; წოდების შესაბამისი ატრიბუტიკა და ფურნიტურა.




**პ ლ ა ნ შ ე ტ ი   3**

**1. ყოველდღიური ზამთრის ფორმა -** შავი ფერის შარვალი, შავი ფერის წინაფრიანი დათბუნებული ქუდი, შავი ფერის გრძელი დათბუნებული ქურთუკი, თეთრი პერანგი, შავი ფერის ჰალსტუხი, შავი ფერის ნახევრად მაღალყელიანი ფეხსაცმელი; წოდების შესაბამისი ატრიბუტიკა და ფურნიტურა.

**2. ყოველდღიური ზამთრის ფორმა –** შავი ფერის შარვალი, შავი ფერის წინაფრიანი დათბუნებული ქუდი, შავი ფერის დათბუნებული ქურთუკი, თეთრი პერანგი, შავი ფერის ჰალსტუხი, შავი ფერის ნახევრად მაღალყელიანი ფეხსაცმელი; წოდების შესაბამისი ატრიბუტიკა და ფურნიტურა.

**3. ყოველდღიური ზამთრის ფორმა –** შავი ფერის ფეხსაცმელში ჩატანებული შარვალი, შავი ფერის წინაფრიანი დათბუნებული ქუდი, შავი ფერის დათბუნებული ქურთუკი, თეთრი პერანგი, შავი ფერის ჰალსტუხი, შავი ფერის მაღალყელიანი ფეხსაცმელი; წოდების შესაბამისი ატრიბუტიკა და ფურნიტურა.




**პ ლ ა ნ შ ე ტ ი 4**

**1. კოკარდა –** მართკუთხა ყვითელ კანტიან შავ ფონზე გამოსახულია ყვითელი წარწერა - ,,ფინანსური პოლიცია“.

**2. სამკერდე ემბლემა –** ვერცხლისფერი სტილიზებული შვიდქიმიანი სხივებიანი ვარსკვლავი, მასზე გამოსახულია ოქროსფერი ჰერალდიკური ფარი, რომლის ლაჟვარდისფერ (ლურჯ) ველზე გამოსახულია მარჯვნივ მიმართული ლომი – საქართველოს სახელმწიფო გერბის ფარისმტვირთველი. ფარის ქვემოდან გამოსახულია ზეაღმართული ხმალი, ფარს აგვირგვინებს „ივერიული“ გვირგვინი (საქართველოს სახელმწიფო გერბის დეტალი). ფარს გარს არტყია ქართული სტილიზებული ორნამენტი „ვაზის წნული“, ოთხი ჯვარი (საქართველოს დროშის დეტალი) და ოქროსფერი წარწერა: „ფინანსური პოლიცია“ (ქართულ და ინგლისურ ენებზე).

**3. სამკლავური ემბლემა –** სტილიზებული ჰერალდიკური ფარი შავ ველზე, რომელსაც გარს არტყავს ოქროსფერი (ყვითელი) კანტი. შევრონის ცენტრში გამოსახულია ფინანსური პოლიციის ემბლემა. ჰერალდიკურ ფარზე ლაჟვარდის (ლურჯ) ველზე გამოსახულია საბრძოლველად შემართული ლომი (საქართველოს სახელმწიფო გერბის ფარისმტვირთველი); თეთრ (ვერცხლი) სადევიზე ბაფთაზე ქართული მხედრულით წარწერილია: „ფინანსური პოლიცია“; კომპოზიციას ამშვენებს ქართული ტრადიციული ვაზის ორნამენტი.

**შევრონის კომპოზიციის ზედა ნაწილში გაკეთებულია ოქროს წარწერა –** „საქართველო“.




**პ ლ ა ნ შ ე ტ ი 5**

**პოლიციის გენერალ-მაიორი**

**სამხრე –** შავი ფერის სამხრე (მანჟეტი), ოქროსფერი კანტებით, სტილიზებული ორნამენტი, ერთი ვარსკვლავი.

**შევრონი –** სამკლავური ოქროსფერი ერთი ხვეული და ერთი ვარსკვლავი.

**პოლიციის მაიორი**

**სამხრე –** შავი ფერის სამხრე (მანჟეტი), ოქროსფერი სტილიზებული ორნამენტი, ერთი ვარსკვლავი.

**შევრონი –** სამკლავური ოქროსფერი ერთი ხვეული.

**პოლიციის ვიცე-პოლკოვნიკი**

**სამხრე –** შავი ფერის სამხრე (მანჟეტი), ოქროსფერი სტილიზებული ორნამენტი, ორი ვარსკვლავი (მცირე).

**შევრონი –** სამკლავური ოქროსფერი ერთი ხვეული, ერთი ხაზი.

**პოლიციის პოლკოვნიკი**

**სამხრე –** შავი ფერის სამხრე (მანჟეტი), ოქროსფერი სტილიზებული ორნამენტი, სამი ვარსკვლავი (მცირე).

**შევრონი –** სამკლავური ოქროსფერი ერთი ხვეული, ორი ხაზი.

**პოლიციის უმცროსი ლეიტენანტი**

**სამხრე –** შავი ფერის სამხრე (მანჟეტი), ოქროსფერი ერთი ვარსკვლავი (მცირე).

**შევრონი -** სამკლავური ოქროსფერი ერთი ხაზი.

**პოლიციის ლეიტენანტი**

**სამხრე –** შავი ფერის სამხრე (მანჟეტი), ოქროსფერი ორი ვარსკვლავი (მცირე).

**შევრონი –** სამკლავური ოქროსფერი ორი ხაზი.

**პოლიციის უფროსი ლეიტენანტი**

**სამხრე –** შავი ფერის სამხრე (მანჟეტი), ოქროსფერი სამი ვარსკვლავი (მცირე).

**შევრონი –** სამკლავური ოქროსფერი სამი ხაზი.

**პოლიციის კაპიტანი**
**სამხრე –** შავი ფერის სამხრე (მანჟეტი), ოქროსფერი ოთხი ვარსკვლავი (მცირე).
**შევრონი –** სამკლავური ოქროსფერი ოთხი ხაზი.

**პოლიციის რიგითი**
**სამხრე –** შავი ფერის სამხრე (მანჟეტი).

**პოლიციის უმცროსი სერჟანტი**
**სამხრე –** შავი ფერის სამხრე (მანჟეტი), ერთი ოქროსფერი ზოლი (მცირე).
**შევრონი –** სამკლავური ერთი ოქროსფერი ჰორიზონტალური ხაზი.

**პოლიციის სერჟანტი**
**სამხრე –** შავი ფერის სამხრე (მანჟეტი), ორი ოქროსფერი ზოლი (მცირე).
**შევრონი –** სამკლავური ორი ოქროსფერი ჰორიზონტალური ხაზი.

**პოლიციის უფროსი სერჟანტი**
**სამხრე –** შავი ფერის სამხრე (მანჟეტი), სამი ოქროსფერი ზოლი (მცირე).
**შევრონი –** სამკლავური სამი ოქროსფერი ჰორიზონტალური ხაზი.

**პოლიციის ზემდეგი**
**სამხრე –** შავი ფერის სამხრე (მანჟეტი), ერთი ოქროსფერი ფართო ზოლი (მცირე).
**შევრონი –** სამკლავური ერთი ოქროსფერი ფართო ჰორიზონტალური ხაზი.



**პლანშეტი 6**

1. **საველე სპეციალური ფორმა** - კომუფლირებული შარვალი და კომუფლირებული ქურთუკი, კომუფლირებული კეპი, შავი ფერის მაღალყელიანი ფეხსაცმელი; წოდების შესაბამისი ატრიბუტიკა და ფურნიტურა.

2. **ყოველდღიური სპეციალური ფორმა –** შავი ფერის შარვალი და შავი ფერის ქურთუკი, შავი ფერის კეპი, შავი ფერის მაღალყელიანი ფეხსაცმელი; წოდების შესაბამისი ატრიბუტიკა და ფურნიტურა.




**პ ლ ა ნ შ ე ტ ი  7**

**პოლიციის გენერალ-მაიორი**

**ღილკილო** – მწვანე ფერის ღილკილო, შავი კანტებით, სტილიზებული ორნამენტი, ერთი ვარსკვლავი.

**პოლიციის მაიორი**

**ღილკილო** – მწვანე ფერის ღილკილო, შავი სტილიზებული ორნამენტი, ერთი ვარსკვლავი.

**პოლიციის ვიცე-პოლკოვნიკი**

**ღილკილო** – მწვანე ფერის ღილკილო, შავი სტილიზებული ორნამენტი, ორი ვარსკვლავი (მცირე).

**პოლიციის პოლკოვნიკი**

**ღილკილო** – მწვანე ფერის ღილკილო, შავი სტილიზებული ორნამენტი, სამი ვარსკვლავი (მცირე).

**პოლიციის უმცროსი ლეიტენანტი**

**ღილკილო** – მწვანე ფერის ღილკილო, შავი ერთი ვარსკვლავი (მცირე).

**პოლიციის ლეიტენანტი**

**ღილკილო** – მწვანე ფერის ღილკილო, შავი ორი ვარსკვლავი (მცირე).

**პოლიციის უფროსი ლეიტენანტი**

**ღილკილო –** მწვანე ფერის ღილკილო, შავი სამი ვარსკვლავი (მცირე).
**პოლიციის კაპიტანი**
**ღილკილო –** მწვანე ფერის ღილკილო, შავი ოთხი ვარსკვლავი (მცირე).
**პოლიციის რიგითი**
**ღილკილო –** მწვანე ფერის ღილკილო (მანქეტი).
**პოლიციის უმცროსი სერჟანტი**
**ღილკილო –** მწვანე ფერის ღილკილო, ერთი შავი ზოლი (მცირე).
**პოლიციის სერჟანტი**
**ღილკილო –** მწვანე ფერის ღილკილო, ორი შავი ზოლი (მცირე).
**პოლიციის უფროსი სერჟანტი**
**ღილკილო –** მწვანე ფერის ღილკილო, სამი შავი ზოლი (მცირე).
**პოლიციის ზემდეგი**
**ღილკილო –** მწვანე ფერის ღილკილო, ერთი შავი ფართო ზოლი (მცირე).




**პ ლ ა ნ შ ე ტ ი 8**

**1. სამკლავური ემბლემა –** სტილიზებული ჰერალდიკური ოვალური ფარი შავი ველზე, რომელსაც გარს არტყია ოქროსფერი (ყვითელი) კანტი. შევრონის ცენტრში გამოსახულია ოქროსფერი ღამურა. ქართული მხედრულით წარწერილია: „ფინანსური პოლიცია"; „სპეციალური დანიშნულების რაზმი"; აბრევიატურა – „ფპ"; „სდრ".

**2. კოკარდა –** ოქროსფერი ღამურა, წარწერით „სდრ".

**3. ღილკილო –** მარჯვენა – შავი ფერის რომბზე 8-ქიმიანი ვარსკვლავი; მარცხენა – შავი ფერის რომბზე – აბრევიატურა „ფპ".

**1. საველე სამკლავური ემბლემა –** სტილიზებული ჰერალდიკური ოვალური ფარი მწვანე ველზე, რომელსაც გარს არტყავს მწვანე კანტი. შევრონის ცენტრში გამოსახულია მწვანე ღამურა. ქართული მხედრულით წარწერილია: „ფინანსური პოლიცია"; „სპეციალური დანიშნულების რაზმი"; აბრევიატურა – „ფპ"; „სდრ".

**2. საველე კოკარდა –** მწვანე ღამურა, წარწერით „სდრ".

**3. საველე ღილკილო –** მარჯვენა – მწვანე ფერის რომბზე 8-ქიმიანი ვარსკვლავი. მარცხენა – მწვანე ფერის რომბზე – აბრევიატურა „ფპ".



## პ ლ ა ნ შ ე ტ ი 9

1. **ყოველდღიური საგაზაფხულო-საშემოდგომო ფორმა –** ქურთუკის კონტურული ნახაზი (შესაძლებელია დათბუნებაც). წარწერა: „ფინანსური პოლიცია“.

2. **ყოველდღიური საგაზაფხულო-საშემოდგომო ფორმა –** დათბუნებული სვიტერის კონტურული ნახაზი. წარწერა: „პოლიცია“.

3. **ყოველდღიური ზამთრის ფორმა –** გრძელი დათბუნებული ქურთუკის კონტურული ნახაზი. წარწერა: „ფინანსური პოლიცია“; წარწერა: „პოლიცია“.

4. **ყოველდღიური საწვიმარი –** შავი ფერის ლაბადა. წარწერა: „ფპ“.

